

შპს „ნექსტდორი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო	შენ.
	31.12.2020	
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	888429	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28697	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	22112	3.3
მარაგები	12326812	
მ.შ. - მზა პროდუქცია		
- სხვა	12326812	3.4
სხვა მოკლევადიანი აქტივები	78312	
გუდვილი	11256247	
ძირითადი საშუალებები	152012	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	180217	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	69808	
სულ აქტივები	25002646	
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	15375359	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	26048	
საგადასახადო ვალდებულებები	385	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	3884189	3.5
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5789104	3.6
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2175919	3.6
სულ ვალდებულებები	27251004	
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-2248358	
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ საკუთარი კაპიტალი	-2248358	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	25002646	
სულ მოკლევადიანი აქტივები	13344362	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	25075085	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.04.2022 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2020
ნეტო ამონაგები	1973657
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	
- მომსახურების გაწევიდან	1973657
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
- სხვა ამონაგები	
გაყიდვების თვითღირებულება	-1264717
საერთო მოგება	708940
სხვა საოპერაციო შემოსავალი	29713
დასაქმებულთა ანაზღაურება	-15910
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-8000
საპროცენტო შემოსავალი	6779
საპროცენტო ხარჯი	-150666
იჯარის ხარჯი	-3390
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-52034
სულ საოპერაციო ხარჯები	-193508
საოპერაციო მოგება	515432
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-2567578
მიღებული დივიდენდები	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-196212
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-2248358
მოგების გადასახადის ხარჯი	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-2248358
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-2248358
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2248358

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.04.2022 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	8612948 (261694) (8255747)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	95506
სავალუტო კურსის ეფექტი	5906
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	787017
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	888429

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.04.2022 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ნექსტდორი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 402170538. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N16, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, მაჩაბლის ქ.12

1.2. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01030028858, ეკატერინე პიტიური	50%
45001027051, ალექსანდრე მათიკაშვილი	50%
სულ	100.00%

1.3. კომპანიამ 06.10.2020 თარიღში შეიძინა შპს „ჰოვერის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი-405287032) 100.00%-ანი წილი, შემდგომში ერთობლივად წოდებული, როგორც ჯგუფი.

1.4. კომპანიის დირექტორია ეკატერინე პიტიური, (პ.ნ. 01030028858)

1.5. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, ასევე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა/რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 3.2766 ლარი;

1 EUR = 4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	
ფული საბანკო ანგარიშებზე/ოვერდრაფტი	85973
ბანკის მიერ დაგირავებული თანხები	802456
სულ:	888429

ჯგუფს ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ბიზნის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები	28697
სულ:	28697

3.3. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	22112
სულ:	22112

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სარეალიზაციოდ განკუთვნილი ბინები	12213602
სარემონტო მასალები	113210
სულ:	12326812

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ავეჯი	მსუბუქი ავტომობი ლები	კომპიუტე რული ტექნიკა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
1 იანვარი 2019					-
შეძენა					-
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2019	-	-	-	-	-
შეძენა	63 324	25 167	56 281	15 241	160 013
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2020	63 324	25 167	56 281	15 241	160 013
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2019					-
დარიცხვა					-
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2019	-	-	-	-	-
დარიცხვა	(3 166)	(1 258)	(2 814)	(762)	(8 001)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2020	(3 166)	(1 258)	(2 814)	(762)	(8 001)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2019	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	60 158	23 908	53 467	14 479	152 012

3.6. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ბინების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი	3884189
სულ:	3884189

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სს "თიბისი ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)	5789104
სს "თიბისი ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)	2175919
სესხი სხვა რეზიდენტი პირებისგან (გრძელვადიანი ნაწილი)	
სულ:	7965023

3.8. სასამართლო დავები

ჯგუფს 2020 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.9. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად, რომელიც გაგრძელდა შემდგომ პერიოდშიც. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ჯგუფს შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და ჯგუფი უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წელს, ჯგუფს არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

**შპს „ნექსტდორი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო	შენ.
	31.12.2020	
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	888429	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28697	3.2
ავეანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	22112	3.3
მარაგები	12326812	
მ.შ. - მზა პროდუქცია		
- სხვა	12326812	3.4
სხვა მოკლევადიანი აქტივები	78312	
გუდვილი	11256247	
ძირითადი საშუალებები	152012	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	180217	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	69808	
სულ აქტივები	25002646	
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	15375359	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	26048	
საგადასახადო ვალდებულებები	385	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	3884189	3.5
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5789104	3.6
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2175919	3.6
სულ ვალდებულებები	27251004	
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-2248358	
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ საკუთარი კაპიტალი	-2248358	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	25002646	
სულ მოკლევადიანი აქტივები	13344362	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	25075085	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.04.2022 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2020
ნეტო ამონაგები	1973657
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	
- მომსახურების გაწევიდან	1973657
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
- სხვა ამონაგები	
გაყიდვების თვითღირებულება	-1264717
საერთო მოგება	708940
სხვა საოპერაციო შემოსავალი	29713
დასაქმებულთა ანაზღაურება	-15910
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-8000
საპროცენტო შემოსავალი	6779
საპროცენტო ხარჯი	-150666
იჯარის ხარჯი	-3390
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-52034
სულ საოპერაციო ხარჯები	-193508
საოპერაციო მოგება	515432
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-2567578
მიღებული დივიდენდები	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-196212
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-2248358
მოგების გადასახადის ხარჯი	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-2248358
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-2248358
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2248358

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.04.2022 წ.

დირექტორი:  გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8612948
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(261694)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(8255747)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	95506
სავალუტო კურსის ეფექტი	5906
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	787017
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	888429

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.04.2022 წ.

დირექტორი:  გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.